PDF Eraser Free

შპს ორიენტირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი

გიორგი ბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ორიენტირი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №378512 ბრძანების (20.04.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. გიორგი ბერია - წევრი

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა შპს „ორიენტირის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა, დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 2021 წლის 10 მაისს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების (სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ივ ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი) წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების საგანმანათლებლო (სასწავლო და დამხმარე) სივრცის გადამოწმება (დისტანციური გასაუბრების განრიგი დასკვნის პროექტს თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დაიმატა საგანმანათლებლო პროგრამებთან „კბილის სატექნიკო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „ღონისძიების ორგანიზება“ და „საფინანსო სერვისები“ ერთად. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 11-12 ივლისს.

ავტორიზაციის ექსპერტებს უშუალოდ ამ პროგრამაზე რეკომენდაციები არ გაუციათ.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

<u>სასურველია</u>, დაწესებულებამ დამატებით უზრუნველყოს კლინიკური და შემაჯამებელი მოდულების „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ გასავლელად სხვა პროფილურ სამედიცინო დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	სფეროს ჯანდაცვა, დეტალურ სფეროს საექთნო საქმე (კოდი 0913)
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	შპს ორიენტირის დირექტორის 2019 წლის 10 მაისის ბრძანება N01/29 /შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის ბრძანება N01/33
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. N26
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ადგილების რაოდენობა - 84; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა - 42 მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა - 126
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	**სრული შესაბამისობა**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოპოვებული ადგილების რაოდენობაა - 84 პროფესიული სტუდენტი; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -42; ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობაა - 126 პროფესიული სტუდენტი.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

კერძოდ:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ განსახორციელებლად მისამართზე - თბილისი, ც.დადიანის ქ. N26, გათვალისწინებული აქვს, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი 3 A სასაწავლო გარემოს მოდელი და ერთი სასწავლო AC (მოდულებისთვის „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) რომელშიც 21 ადგილია გამოყოფილი. B ტიპის სასწავლო გარემოში 1 კომპიუტერული ლაბორატორიაა, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის 21 კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი).

ამრიგად, <u>დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, თავის მატერიალური აღჭურვილობით, სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა გატარებას,</u> მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობების შესაბამისად.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული და ზოგ შემთხვევაში განახლებულიც აქვს სამედიცინო დაწესებულებებთან შესაბამისი ხელშეკრულებები.</u>

კერძოდ:

<u>დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება ორგანიზაციასთან</u> - **სს „ევექსის ჰოსპიტლები“.**

სს ,,ევექსის ჰოსპიტლები“ - 01. 04. 2019 წელი - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადა 3 წლის განმავლობაში. მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე თუ ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება შემდგომი 3 წლით. ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
განხორციელებისას საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ კოლეჯისათვის მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა, კვოტის ფარგლებში, იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი, გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი საექიმო ან საექთნო პროფესიული, მათ შორის ბებიაქალი განათლება, მენტორობის /სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება, საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მიმართულებებში, ინგლისური ენის ფლობა A1 დონე, საოფისე კომპიუტერული უნარების ფლობა, სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.
ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური და შემაჯამებელი მოდულების დასახელება.
ხელშეკრულება განახლებულია 21.01.2021 წელს, ორივე მხარე თანხმდებიან, რომ კორპორაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას უზრუნველყოფს ჯამურად 126 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

<u>არ შეცვლილა ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციასთან</u> - **ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი.**
ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (HD1-1-2021) 01.03.2021 წელი 2024 წლის 31 დეკემბრამდე. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი რესურსით (მატერიალური, ადამიანური) განახორციელოს მოდულები, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტი:

1) ავადმყოფის მოვლა;
2) შინმოვლა;

განახორციელოს პროგრამის სრული ხანგრძლივობის ვადით, მინიჭებული კვოტის ფარგლებში, არაუმეტეს 126 პროფესიული სტუდენტის დაშვება და სწავლება შესაბამის მოდულებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პროფესიულ სტუდენტთა, კვოტის ფარგლებში, იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი.

პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი საქიმო ან საქთნო პროფესიული, მათ შორის ბებიაქალი განათლება, მენტორობის /სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება, საქთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მიმართულებებში, ინგლისური ენის ფლობა A1 დონე, საოფისე კომპიუტერული უნარების ფლობა, სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

დაწესებულების და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის სს „ევექსის ჰოსპიტლების“ წარმომადგენლებთან დისტანციური გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულებას და კლინიკას წარმოედგინათ ხედვა, თუ როგორ უზრუნველყოფდნენ სტუდენტთა განაწილებას, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, სასწავლო გეგმაში გაწერილი მოდულის განხორციელების ვადების შესაბამისად, განსაკუთრებით, ისეთი მოდულის, როგორიცაა „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია”. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო გეგმით დასახელებული მოდულის გასავლელად განსაზღვრულია ორი სასწავლო კვირა, რომელიც დაწესებულებას შეუძლია გაანაწილოს დროის გარკვეულ პერიოდში, მეცადინეობების ცხრილის მეშვეობით. იგივე დაადასტურა კლინიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმაც.

<u>თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებების ფარგლებში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის პრაქტიკის ობიექტით უზრუნველყოფა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისთვის, სასურველია დაწესებულებამ სს. ევექსის ჰოსპიტლების გარდა სხვა პროფილურ სამედიცინო დაწესებულებასთანაც გააფორმოს დამატებით ხელშეკრულება მოდულისთვის „ ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“</u> .

ამრიგად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა - 60 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულები - 12 პროფესიული მასწავლებელი და თეორიული მოდულები - 48 პროფესიული მასწავლებელი).

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების კოლეჯში მოქმედ სხვა პროგრამებში ჩართულობის ინფორმაციის გადამოწმებამ აჩვენა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის ნორმას.

<u>შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. უფრო მეტიც, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია ნამდვილად წარმოადგენს კოლეჯ „ორიენტირის“ ძლიერ მხარეს რადგან მას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
დაკონტრაქტებული ყავს სს. ევექსის ჰოსპიტლების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მედდა ტრენერების სრული სპექტრი სხვადასხვა კლინიკურ და თეორიულ მიმართულებებში.

დაწესებულების წარმომადგენლებთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ მოდულების წარმართვის, ვალიდური და სანდო შეფასების ინსტრუმენტების შექმნის და პროფესიული სტუდენტების შეფასების გამოცდილება, ხოლო ახალი პროფესიული მასწავლებლების და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების შემთხვევაში კოლეჯის ადიმინისტრაცია პერიოდულად უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების გადამზადებას, როგორც შიდა რესურსებით, ასევე გარე ჩართულობით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამის ხელმძღვანელის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების თანამდებობრივი ინსტუქციითა და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პროგრამის შინაარსის და მის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე, ორგანიზება უნდა გაუწიოს კალენდარული გეგმების მომზადებას, პროგრამის სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას, ჩაერთოს ვერიფიკაციის პროცესსა და სხვა აქტივობებში, რაც მისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილება.

საგანმანათლებლო პროგრამას ყავს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დანიშნული ხელმძღვანელი, ბ. ო. რომლის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე წარმოადგენს დარგის მაღალპროფესიონალურ სპეციალისტისა და სასწავლო გამოცდილების მქონე სპეციალისტს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსი ჩატვირთულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულებაში სტუდენტებისათვის გამოყოფილია ცალკე სამკითხველო დარბაზიც.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის #01/107 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ორიენტირი"–ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"–თ, მუხლი 16; აღნიშნული წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით. დაწესებულების სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. აღნიშნული გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, და სველი წერტილები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა მოთხოვნით, დაწესებულებამ გადმოაგზავნა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის **შემოსავლის სახეობებში** მითითებულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში **ხარჯების სახეობები**, როგორიცაა ადმინისტრაციული, პროფესიული მასწავლებლის ხელფასი, საკანცელარიო და საოფისე, კომუნალური პრაქტიკის ორგანიზების, რეკლამის, სასწავლო მასალის და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. რენტაბელობის ზღვარია 12.

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ბიუჯეტით გაწერილი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული/ განახლებული ხელშეკრულებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- დისტანციურად საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

23.05.2021წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------